



21.07.2013


"განვითარება დიდი კაშხლების აშენებას არ ნიშნავს"

სტატიები



ეკა მაღალაძე

შეუერთდი განხილვას



„ჯერ შევისწავლოთ, შემდეგ ავითვისოთ“, „არა - რესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკას!“ - ამ და სხვა მოწოდებებით გუშინ თბილისში, დედა ენის ბაღში აქცია გაიმართა.

სოციალური ქსელებით თითქმის ერთი თვის წინ დაგეგმილ აქციაზე მოქალაქეები იმ პოლიტიკას აპროტესტებდნენ, რომლის მიხედვითაც მთავრობა ბუნებრივი რესურსების

ამავე თემაზე

- ხდის ჰესი - გარემოსდამცველთა შუალედური გამარჯვება "რა არის დარიალი თერგის გარეშე?!"
- მითები და სინამდვილე ჰესების შესახებ
- ხუდონჰესი საერთაშორისო ექსპერტიზის პირისპირ

მაქსიმალურ ათვისებას გეგმავს. იმედის ასრულების მომლოდინე მაჭახელი

„ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით „დიდი კაშხალი - დიდი უბედურებაა!“

განვითარებასა და

ჰიდროელექტროსადგურებს, მაგრამ გვინდა, რომ ეს ყველაფერი გონივრულად და რაციონალურად მოხდეს,“ - თითქმის ერთხმად აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

თათა გაჩეჩილაძე სტუდენტია, ის აქციაზე მეგობრებთან ერთად იმ პოლიტიკის გასაპროტესტებლად მივიდა, რომლის შედეგადაც, მისი აზრით, თითოეული ადამიანის საცხოვრებელი გარემო ზიანდება.

„ჰესების მშენებლობისას და სხვა პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინება თითქმის არ ხდება, ზიანდება გარემო. ყველა ადამიანის უფლებაა იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და ჩვენი ეს უფლება დღეს დაცული არ არის,“ - ამბობს გაჩეჩილაძე.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ნიკა წიქარიძე ამბობს, რომ მოქალაქეები 90-იანი წლების სიბნელეში დაბრუნებას სულაც არ მოითხოვენ. „ჩვენ უბრალოდ გვინდა, რომ ადამიანის ფუნდამენტური, კონსტიტუციური უფლებები იყოს დაცული, კონსტიტუცია ხომ აღიარებს ჩვენს უფლებას, ვიცხოვროთ ჯანსაღ გარემოში. ჩვენ ვაპროტესტებთ პოლიტიკას, რომელიც უგულბებლყოფს კონსტიტუციას.“

წიქარიძე ამბობს, რომ არ შეიძლება რესურსების მაქსიმალურ ათვისებაზე საუბარი მაშინ, როდესაც ქვეყანამ არც კი იცის, რა რაოდენობის ენერჯია სჭირდება. მისი თქმით, ჯერ უნდა მოხდეს შესწავლა, რამდენად გვჭირდება ესა თუ ის რესურსი, შემდეგ კი შეიქმნას სტრატეგია და დაიგეგმოს როგორ და რისი ათვისებაა შესაძლებელი.

„ჩვენს პარალელურად საპროტესტო აქციები მიმდინარეობს აჭარასა და სვანეთში, ისინი ამ ბრძოლაშიც გვიერთდებიან. პროსტესტი გრძელვადიანი იქნება. ბუნებას ისეთი საფრთხე ემუქრება, რომ უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, მერე ამის გამოსწორება შეუძლებელი იქნება,“ - განაცხადა წიქარიძემ.

აქციაზე შეკრებილებს მიმართა როინ მალაყაძემაც. აჭარის მკვიდრმა რეგიონში დაჩქარებული ტემპით მიმდინარე და დაგეგმილ მშენებლობებზე ისაუბრა.

„ხელისუფლებამ აქ თითქმის ყველა ხევში, ყველა სოფელში, ყველა მდინარეზე დაგეგმა სხვადასხვა სახის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. კინტრიში, მაჭახელა, აჭარისწყალი, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ალბათ არ იციან ან არ უნდათ იცოდნენ, რომ აჭარის მთა ეროზიულობითაა გამორჩეული. არ ახსოვთ 1985 წლის მარტის ტრაგედია, 1989 წლის 19 აპრილი და კიდევ რამდენი სხვა შემთხვევა, როცა ეროზიის გამო მეწყერმა სოფლები სასაფლაოებად გადააქცია. მიუხედავად

ბიომრავალფეროვნებისა, დაცული ტერიტორიებისა, ყველგან ჰესი შენდება. მაჭახელაზეც ორი ჰესის აშენებაა დაგეგმილი, რაც მიდნარის გაქრობის წინაპირობა იქნება. ეს კი ამ ხევის ისტორიისა და სიცოცხლის განადგურებაა. მდინარე აჭარისწყალზე სამი უზარმაზარი ჰესის მშენებლობა კი ისე მიმდინარეობს, რომ ადგილობრივების ინტერესები არც კია გათვალისწინებული. ისტორიული სოფლები, კულტურის ძეგლები, სოფელი მარადიდი წყალმა უნდა წაიღოს, ყველაფერი კი ინვესტორის ინტერესისთვის...“

ყაზბეგის რაიონში მშენებარე და ასაშენებელ ჰიდროელექტროსადგურებზე ისაუბრა ადგილობრივი ორგანიზაცია „სტეფანწმინდის“ თავმჯდომარე შოთა ბუჩუკურმაც.

„სამწუხაროდ, პოლიტიკა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დაიწყო, ახლაც გრძელდება. ისევ ყოველგვარი დაგეგმვის, შესწავლისა და დასაბუთების გარეშე, ცალკეული ინვესტორების ინიციატივით ხდება მდინარეების შერჩევა და მშენებლობის დაწყება ისე, რომ არც გარემოსდაცვითი სტანდარტებს ითვალისწინებს ვინმე და არც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.“

ბუჩუკურმა ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს ქვეყნის განვითარების ენერგეტიკული სტრატეგია, რის გამოც „ინვესტორების იდეებს ბრმად მივყვებით“:

„გარდა იმისა, რომ დარიალი და ლარსიჰესების გამო 8 კმ-ზე მდინარე თერგი პრაქტიკულად აღარ იარსებს, იგივე კომპანია ახლა ხდის უნიკალურ ხეობაში გეგმავს ჰესის აშენებას. ერთი უარი შემდეგ ახლა მეორედ აპირებს შეიტანოს გზმ ანგარიში ეკოლოგიური ნებართვის მისაღებად. ენერგეტიკის სამინისტროში დარწმუნებულები არიან, რომ კომპანია ნებართვას მიიღებს, შედეგად კი 6 მგვტ სიმძლავრის გამო გამორჩეული ხეობა უნდა განადგურდეს. ხალხმა ეს ხელისუფლება ცვლილებებისთვის აირჩია, და არა ძველი პოლიტიკის გასაგრძელებლად.“

ბუჩუკური ინვესტორ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების პირობებსაც შეეხო. მისი თქმით, ზამთრის თვეებში, როდესაც კომპანია ვალდებულია საქართველოს ენერჯია მიაწოდოს, ჰესს ყველაზე ნაკლები გამომუშავება იქნება და არც ტარიფი იქნება იმაზე დაბალი, ვიდრე ახლა რუსეთისგან და აზერბაიჯანისგან შესყიდული დენის ფასია.

სტეფანწმინდელმა ზაზა წიკლაურმა იმ კომისიაზე ისაუბრა, რომელიც მთავრობაში ჰიდრორესურსების გამოყენების გეგმის შესამუშავებლად შეიქმნა. მისი თქმით, ეს კომისია მთავრობისგან დამოუკიდებელი ექსპერტებით უნდა დაკომპლექტებულიყო.

„ჩვენმა ადრინდელმა პროტესტმა თითქოს შედეგი გამოიღო და ასეთი კომისია შეიქმნა, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ვისაც ვაკრიტიკებდით, სწორედ ის პიროვნებები შეიყვანეს

და იმ უწყებებს დაუქვემდებარეს ეს კომისიაც. თავმჯდომარედ კალაძე, წევრებად კი მისი მოადგილე და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები დაინიშნენ. რა ახალი დამოკიდებულება უნდა შემოგვთავაზონ მათ?! ალბათ, შექმნიან ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც შემდეგ ცალკე უნდა ვებრძოლოთ“ - განაცხადა ზაზა წიკლაურმა. „ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა უნდა ჩაითვალოს წყლის ენერგეტიკულ რესურსად და რა ეკოლოგიურ რესურსად იმისათვის, რომ ბიოლოგიური წონასწორობა არ დავარღვიოთ.“

ნიკა წიქარიძე ამბობს, რომ გარემოს დაცვა და დიდი ჰესების მშენებლობის აკრძალვა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო და ისინი სწორედ ამ დაპირების შესრულებას ითხოვენ.

„ენერგეტიკის სამინისტროგან ჩვენ ენერგოსისტემის შესწავლასა და რესურსების რაციონალურ გამოყენების მოვითხოვთ, სტრატეგიას, რომელიც გაითვალისწინებს გარემოსდაცვით პრინციპებს. გარემოს დაცვის სამინისტროსგან კი ისეთი მექანიზმების ამუშავებას, რაც კონტროლის საშუალებას გაზრდის. და აღარ განმეორდება თუნდაც ის, რაც ტრავერტინების შემთხვევაში მოხდა“

შეკრებილთა ერთ-ერთი მოთხოვნა საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურის ძეგლის სტატუსის აღდგენაც იყო. ბოლნისში არსებულ საყდრისი-ყაჩალიანის ოქროს მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 5 ივლისის ბრძანების თანახმად მოეხსნა.

„ჯანსაღი გარემო ჩვენი უფლებაა,“ „განვითარება დიდი კაშხლების აშენებას არ უდრის,“ „შეწყდეს მდინარე ნარეკვავის დაბინძურება „ნატახტარისა“ და „ბარამბოს“ მიერ“, „დაუბრუნეთ უძრავი ძეგლის სტატუსი საყდრისის არქეოლოგიურ ძეგლს“, - ამ და სხვა მოთხოვნებით აქციის მონაწილეები პროტესტის გაგრძელებას გეგმავენ. შესაბამის მიმართვებზე ხელმოწერებს ელექტრონულად შეაგროვებენ და სამინისტროებს წარუდგენენ.